# უფალი ემანუელი

## ქადაგება

27 დეკემბერი 2020 წელი

საშობაო დღეებში ჩვენ ხშირად გვესმის განსაკუთრებული სახელი, რომლითაც მიმართავენ ღვთის ძეს, ჩვენ უფალ იესო ქრისტეს. ეს სახელი ეწოდება ახლადშობილ იესოს მისი დაბადებისას ბეთლემში და ეს სახელია-ემანუელი. მისი სახელი პირველად იწინასწარმეტყველა წინასწარმეტყველმა ესაიამ, რვა საუკუნის წინ: ,,აჰა, მუცლადიღებს ქალწული და შობს ძეს, უწოდებს სახელად ემანუელს" (ეს. 7:14). წმ. მათე მახარებელი იხსენებს ამ წინასწარმეტყველებას, რომლითაც ანგელოზმა აუწყა იოსებს იმის შესახებ, რომ მისი მეუღლე მარიამი დაბადებს ღვთიურ ძეს იესოს (მათე 1:23). ქრისტიანმა ჰიმნოგრაფებმა, შთაგონებულებმა წმ. ბიბლიის სიტყვებით, შექმნეს შესანიშნავი ტროპარები მოხსენიებული ღვთის სახელით ემანუელი.... ყველას ახსოვს გალობა ,,ესაია, გიხაროდენ! მიდგომილი ქალწული შობს ძეს ემანუილს, ღმერთსა და ადამიანს..." (ხმა მე-5 უ)..... ბიზანტიური ეკლესიის კედლებზე შეიძლება....იხილოთ ხატზე მიწერილი-უფალი ემანუელი....

ვუფიქრდებით კი მნიშვნელობას ამ სახელისას, როცაა გვესმის იგი?

ჩვენ ვიცით, რომ ადამმა და ევამ დაარღვიეს შემოქმედი-ღმერთის მცნება და განდევნილები იქნენ სამოთხიდან.... ღვთის ძე მოვიდა დედამიწაზე ადამიანური ბუნებით.... შემოსილი, რათა გააერთიანებინა ადამიანები ღმერთთან, და ახლა საზეიმოდ აღვნიშნავთ ღმერთკაცს იესო ქრისტეს შობას.... ღმერთმა წინასწარმეტყველი ესაიას პირით ამცნო, რომ როცა ადამიანები დაინახავდნენ ღმერთს ადამიანურ ჰიპოსტასში, მცხოვრებსა და სხვა ადამიანებთა ურთიერთობაში მყოფს, ისინი უწოდებდნენ მას ემანუილს-სახელს,.... რომელიც ნიშნავს ,,ჩვენთან არს ღმერთი," ღმერთი ჩვენს შორის იმყოფება ამგვარად, ადამიანებმა....პირველად, თავის დროზე განდევნილებმა ცოდვების გამო ღმერთისაგან, გაიგონეს ღმერთის ხმა, არამედ შესძლეს ესაუბრათ მასთან....მათ იხილეს მათ იხილეს საკუთარი თვალებით იგი და შეეხნენ მას....საბოლოოდ.... სწორედ ემანუელისგან-იესო ქრისტესგან-კაცობრიობა შეერწყა სამპიროვნულღმერთს, და დიდი ხნის ტრაგიკული განშორება კაცობრიობასა შემოქმედისაგან დასრულდა....სამუდამო ცხოვრების შესაძლებლობის სიხარული კვლავ რეალობად იქცა.

ჰიმნოგრაფი ასე აღწერს ქრისტეს შობას: ,,таинства странное виху и преславное: небо - вертеп, престол херувимский - деву, ясли - вместилище, в нихxе возлехе невместимый христос бог" (უფლის შობა, გალობა 9).

ადამიანის აზროვნებას არ შეუძლია მიაღწიოს იმ უზომო მორჩილებას რომელიც იტვირთა თავის თავზე ემანუელ იესო ქრისტემ. ახლადშობილი უფალი ემანუელი დიდი საფრთხის წინაშე იდგა, რადგან მეფე იროდის უნდოდა მისი სიკვდილი. იოსებთან და მარიამთან ერთად ახალშობილი იესო - ემანუელი იძულებული იყო დამალულიყო ეგვიპტეში და თავისი მიწიერი ცხოვრების ბოლოს მან იტვირთა ჯვარზე გაკვრის ტანჯვა და თავისი სიკვდილით გამოისყიდა კაცობრიობის ცოდვები, გაათავისუფლა ის

სიკვდილისაგან და მიმადლა ადამიანებს ხსნა და სამუდამო ცხოვრება. იესო ქრისტემ ეს გააკეთა ადამიანებისადმი დიდი სიყვარულის გამო, რადგან უფლის სიტყვების მიხედვით ,,უფროსი ამისსა სიყუარული არავის აქუს, რათა სული თვისი დადვას მეგობართან თვისთათვის" (ინ. 15:13).

სწორედ აქ, ჩემო ძვირფასებო, ისმის კითხვა: და რითი ვპასუხობთ უფალი ემანუელის უდიდეს სიყვარულს და მის სურვილს, რომ ჩვენ, ადამიანები, ვიმყოფებოდეთ უწყვეტ კავშირში მასთან?

არიან ისეთებიც, ვინც ფიქრობს, რომ იმისთვის, რათა მოვიხადოთ ვალი ქრისტეს გამო, საკმარისია ვილოცოთ ან ვიაროთ ეკლესიაში. საბოლოო ჯამში როდესაც ცხოვრებაში პრობლემები იქმნება, ასეთი ადამიანები უპირველესად ღმერთს საყვედურობენ. ისინი ფიქრობენ, რომ ეკლესიაში მოსვლით, ისინი რამეს სწირავენ ღმერთს და ღმერთი ვალდებულია მათ წინაშე. მათ არ ესმით, რომ ღმერთი სრულყოფილია და არაფერს არ საჭიროებს. ,,ღმერთი სიყვარული არს" (1ინ. 4:8), და რადგანაც იგი მთლიანად სიყვარულია, ყველაფერს, რასაც ის აკეთებს, იგი აკეთებს ჩვენი კეთილდღეობისთვის და ჩვენს დასახმარებლად. თუ ემანუელი ,,ყველა მოწყალების განძია", მაშინ მას სურს, რომ ჩვენ მივიღოთ ყველა ის სიკეთე, რაც ნამდვილად გვესაჭიროება. აი რატომ სურს მას, რომ ჩვენი ურთიერთობა მასთან იყოს სიყვარულის ურთიერთობა, რადგან უფალმა გვითხრა: ,,თქუენ გარქუ მეგობრად" (ინ. 15:15).

მაგალითისთვის თუ მოვიყვანთ ორ უახლოეს მეგობარს, მაშინ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ადამიანები, რომელთაც უყვართ ერთმანეთი და მიისწრაფვიან ხშირად ერთად ყოფნისკენ. მათი ბედნიერება ისაა, რომ იყვნენ ერთმანეთის გვერდით და მათ არ სურთ დიდი ხნით დაშორდნენ ერთმანეთს. აი ასე უნდა ვიგრძნოთ თქვი უფალ ემანუელთან შერწყმისას. როგორც ამბობს წინასწარმეტყველი იერემია, ის, ვინც გულშიცაა საღვთო სიყვარული, არ იღლება, ყოველთვის მიჰყვება უფალს (იერ. 17:12). წმ. მაქსიმე აღმსარებელი ასევე წერს: ,,ღვთისადმი სიყვარული გონებას ფრთებს სთავაზობს" რათა ადამიანს შეეძლოს ყოველთვის იცხოვროს ღმერთთან (400 სიყვარულის შესახებ IV:40).

ჩემო ძვირფასო ძმებო და დებო!

როდესაც მე ვიმყოფები უფალ ემანუელთან ურთიერთობაში, მე არასდროს ვგრძნობ თავს მარტო, თუნდაც მარტო ვიყო, მე არ მიპყრობს შიში, რადგან ,,სიყვარულმან გარე განდევნის შიში" (1 ინ. 4:18). მადლობელი ვარ უფლის ყველა სიკეთისთვის, რაც არის ჩემს ცხოვრებაში და ყველა ჩემ ტკივილს მის სიყვარულს ვანდობ. ჩემს ცხოვრებაში რაც შემიძლია, ვცდილობ თავად გავაკეთო და ამავდროულად ყოველთვის ვითხოვ საღვთო დახმარებას, ყველაფრისთვის ვთხოვ უფალს მომცეს თავისი კურთხევა. როგორც თქვა უფალმა: ,,თვინიერ ჩემსა არარა ძალ-გიც ყოფად არცა ერთი" (ინ. 15:5).

მოდით გავაღოთ ჩვენი გულის კარები ღმერთთან, ემანუელთან უწყვეტი კავშირისთვის, რომელიც მოვიდა ამ სოფლად, რომ ჩვენთან ყოფილიყო. დაე, მისი უსაზღვრო სიყვარულის დიდებამ გვმართოს ჩვენ და იცოდეთ, რომ უფალ ემანუელთან ურთიერთობის სიხარული გვაძლევს მისი მეუფების მოლოდინის კურთხევას.

ამინ.